სამშობლო

წ. I 1915 წ. ხუთშაბათი 9 აპრილი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი [illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 52 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 52

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სამშობლო"

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".**

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

ელექტრო-თეატრი **„რადიუმი.**

ორშაბათიდან, 6 აპრილიდან ახალი არაჩვეულებრივი საუცხოვო პროგრამა, სენსაცია იქნება.

ქმარი

არციბაშევის რომანიდან, დრამა 6 ნაწილათ, შესრულებულია მოსკოვის თეატრების საუკეთესო არტისტების მიერ. **„მეუღლის"** როლს შეასრულებს მსახიობი ქალი კორშის თეატრისა **მ. მ. ტორიჩევასა.** **„ქმრის"** როლს შეასრულებს გამოჩენილი არტისტი **ა. ო. ვარიაგინი.**

რუსული სამხედრო ქრონიკა

სკობელევის კომიტ. მე-4-ე სერია.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

ადგილების ფასები: ლოჟა—14 შ. I ადგ. 3 აბ., II ადგ. 2 აბ., III ადგ. 5 შ.

ქალაქის თეატრი

დღეს, 9 აპრილს, ქართ. დრამ. დასის მსახიობთა მიერ

ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ნინო ნაკაშიძის ცნობილი ორიგინალური პიესა გურულთა ცხოვრებიდან

ვინ არის დამნაშავე?

დრ. 4 მოქ.

მზადდება ახალი დეკორაციები, სიმღერები და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.**

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი,

ორჯერ ზედიზედ ახალი პიესა.

ქუთაისის თეატრი

ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ, შაბათს, 11 და კვირას, 12 აპრილს, წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი პიესა სობოლჩიკოვ-სამარინისა

იუდა ისკარიოტელი

(იუდას მემკვიდრე)

5 მოქ. თარგ. კონსტან-ანდრონისა.

ეს პიესა დაიდგა რუსეთის საუკეთესო თეატრებში და ეკუთვნის ამხანაგობას

იხატება დეკორაციების ნაწილი და იკერება ტანისამოსი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი და თანამშრომლები.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

ანონსი: მზად. წარმოსადგ. ხუთშაბათს, 16 აპრილს ბენეფისი დასის რწმუნებულის და ადმინისრატორის **ვასო ურუშაძისა.**

მეაბრეშუმეებს

ომიანობის გამო სხვადასხვა ფირმის თესლის შემოტანა **ფრიად საძნელო გახდა საზღვარგარეთიდან.** თესლის შემოტანას დიდი სიფრთხილე და თადარიგი დასჭირდა. მიუხედავათ **განსაკუთრებული დროისა,** თესლის ზოგიერთმა მოვაჭრემ გამოიტანა შეუმოწმებელი თესლი და გაზეთებშიც **განცხადების სახით** ქება-ხოტბა შეასხეს. დღევანდელ პირობებში გლეხ მეაბრეშუმეს **შეუმოწმებელი თესლის** შეძენა დაღუპავს უქადის.

მეაბრეშუმე-მწარმოებლები, რომ **არ მოტყუვდნენ** და საღი თესლის მაგიერ ცუდი თესლი არ შეიძინონ ჩვენ **„ეკონომიდის"** ფირმის თესლი შევამოწმებინეთ სათანადო მთავრობის წარმომადგენელს **სწავლულ მეაბრეშუმე აგრონომებს.**

მოგიწოდებთ—ნუ დაენდობით დღევანდელ ომიანობის გამო შექმნილ განსაკუთრებულ პირობებში **შეუმოწმებლათ შემოტანილ თესლს.** მოგვმართეთ ჩვენ—მიიღებთ ხელმისაწდომ ფასებში **ტფილისის საბრეშუმო სადგურის მიერ შემოწმებულ საღ აბრეშუმის ჭიის თესლს.**

პატივისცემით ს/ს ძმ. კუზანოვები და ტ. მასიდაძე, ა. კიდასონია.

ქუთაისი, მიხეილის ქუჩა. 6—3

ქუთაისის საზოგადო საკრებულო.

შაბათს, 11 აპრილს, 1915 წელს, შესდგება

მუსიკალურ-ვოკალურ-ლიტერატურული

საღამო

მოქმედ ჯარის მეომრების სასარგებლოთ.

დარბაზი მორთული იქნება ინჟინერ ფრიკის ხელმძღვანელობით.

ცოცხალი სურათები, ვოდევილი (რუს. ენაზე) ბოშათა რომანსები და სხ.

შესვლის ფასი 1-დან 3 მანეთამდე.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. **დაწვრილებით პროგრამებში.**

საღამოს გამგე ელენე ნიკოლოზის ასული ჩიქოვანისა.

განცხადება.

ვისაც სურს შეიძინოს **კარგი ღირსებისა და გემრი აბრეშუმის თესლი** უნდა მიმართოს **ლოზ ბურასს** მთელს სპარსეთში, კავკასიასა და თურქესტანში ცნობილ ფირმას. თესლი შემოწმებულია მიკროსკოპიული საშუალებით **„პასტერის"** სისტემით და წონით 6 მისხ. თითოეული კოლოფი.

ვიმედოვნებ, რომ ბ.ბ. მყიდველები დარჩებიან სრული კმაყოფილი, თუ უკეთუ შეიძენენ ამ ფირმის თესლს.

ფასები ზომიერია.

იყიდება ნარდათ და ნაწილათაც. მისამართი: მიხეილის ქუჩა

მმ. ადამიდის მაღაზიაში, ქუთაისში.

პატივისცემით **ნიკოლოზ ბურასი.**

10—4—149.

გაფრთხილება.

ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქუთაისში

ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ **გაზეთებში** გამოჩნდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხელში. ამისათვის გასულ წლების მსგავსად წელსაც **ხ. ხრისტოდულიდის** მოუცილებელ საჭიროდ ვცნანით, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, **გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია **„შტემპელი",** აწერია **„ს/ს. გოკიელოვის შ—ბი",** შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის **„შტემპელი"** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისის"** და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის",** აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი,** რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ **კოლოფს ირგვლივ შემოვლებული** სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

თესლის გაყიდვა გძელდება.

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ

ნ. ს. ჯორჯიკიას შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права"

Проф. Л. І. Петражицкаго. ფასი 6 შაური თ.

კბილის მენაღარიშრილი და ტრუფა-ექიმები. ნოვა, დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. ტფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

სტუდენტი, უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასისთვის. აგრეთვე უმაღლეს დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებლად, „ჩინზე" და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული. მისამართი: **ძველი ტფილისის ქუჩა ჟორჟოლაძის სახლი.** 14—8

ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსგან.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 7 აპრილი. მთავარსარდლის შტაბისაგან. 5 აპრილს, ტელეპოჩიდან და პოლენიდან აღმოსავლეთით ჩვენს პოზიციებზე მტრისგან მოტანილი იერიში ცეცხლითა და სახელდახელო ყუმბარებით მოვიგერიეთ. სტრიის გზით ორავჩიკთან მდებარე სიმაღლეზე მტრისგან მოტანილ იერიშს პირველათ წარმატება ჰქონდა, მაგრამ საღამოს ჩვენმა ჯარმა კონტრ იერიში მიიტანა მტერზე და თავგანწირული ბრძოლის შემდეგ ეს სიმაღლე დაიჭირა და მრავალი დაატყვევა, რომელთა რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის. აღმოსავლეთ როჟანკის გრებნზე საღამოს, 5 აპრილს, გერმანელების სანგარებთან ნაღმი ავაფეთქეთ, აფეთქებასთან ერთად ჩვენმა ჯარმა მტერს ხიშტით შეუტია და ერთი პოზიცია წაართვა. ამ ბრძოლის დროს ასამდე გერმანელი დავატყვევეთ, ოთხი ტყვიისმტყორცნელი და ერთი ნაღმისმტყორცნელი ვიხელთეთ.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიჟი. 6 აპრილი. დღის ოფიციალური ცნობა. გუშინ ბელგიაში უვარტელანთან ინგლისის ჯარმა 200 მეტრის სივრცეზე გერმანელების თხრილების მთელი რიგი დაიჭირა, მიუხედავათ მტრისგან რამდენჯერმე მოტანილ კონტრ იერიშისა, დაჭერილი პოზიცია შეინარჩუნა და ზედ გამაგრდა. ელზასში ჩვენ წარმატება გვქონდა. მდ. ფეხტის ორთავე ნაპირით წინ მივიწევთ. ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე დემილ ლეკერვასტენის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ბურგოპლეს მწვერვალი დავიჭირეთ, რომელიც მთელ მდელოს დასცქერის. სამხრეთის ნაპირზე შესამჩნევათ წინ წავიწიეთ. შნეფენრიტის რაიონში ჩრდილოეთით ლაფეხტისკენ და მეტპერალისკენ მივიწევდით, აქ ჩვენ სიმაღლეების მთელი რიგი დავიჭირეთ. ერთი ამ სიმაღლეთაგანი ბურგოკოპფის პირდაპირ მდ. ფეხტის ველს მფლობელობს. ამ ბრძოლის დროს მტრის საარტილერიო ბატარეის ერთი წყება დავატყვევეთ, ორი ზარბაზანი 25 მილიმეტრ. ყალიბისა და ორი ტყვიისმტყორცნელი ვიხელთეთ. გერმანელების ჰიეროპლანები ბელფორზე დაფრინავდნენ, ჩამოაგდეს ოთხი ყუმბარა, რომლითაც ორი ანგარა დაზიანებულია, რამდენიმე წამლის ყუთი აფეთქდა. კაცების მხრივ მსხვერპლი არ ყოფილა და სამხედრო მასალებიც არ დაზიანებულა.

პარიჟი. 7 აპრილი. 5 აპრილს, ღამის 11

ს. ეპარჟთან გერმანელების კონტრიერიში მოვიგერიეთ. მორმარის ტყეში ქვეითა ჯარს მტერთან უნაყოფო შეტაკება ჰქონდა. მდ. ფეხტის ორთავე მხრიდან ჩვენ წარმატება გვქონდა. მტერი ვაიძულეთ ეზელს-ბრიუკე მიეტოვებინა მეტზერალის ზევით. მფრინავი გარე იძულებული იყო ინგელპიუსტერთან ჩრდილოეთით კურტრეზე ათი კილომეტრის სიშორეზე ჩამოშვებულიყო, შემდეგ რომელიც დავატყვევეთ.

ლონდონი. 7 აპრილი. ჩერჩილი გაზეთს ატყობინებს, რომ წარსულ თვის განმავლობაში ჩრდილო ზღვაზე და დარდანელზე შესამჩნევი ბრძოლა არ მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ყუმბარების დაშენას, რომელსაც ადგილობრივი ხასიათი ქონდა.

3 მარტიდან დაწყებულ ზვერვის დროს მოკლული და დაჭრილი ორ-სამ კაცს არ აღემატება. ინგლისისა და საფრანგეთის გემები უვნებლათ გადარჩენ.

ლონდონი. 6 აპრილი. პრესბიუროს ცნობით საღამოს, 4 აპრილს, ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა, რომელიც უმთავრეს პუნქტის ეგრეთ წოდებულ „სამოციან ქედის“ დაჭერაში გამოიხატა. ეს ქედი ცილებოკიდან სამხრეთით ორი მილის მანძილზე მდერაგეობს. მდ. იპრის აღმოსავლეთით ეს ქედი ჩრდილოეთით და ჩრდილო დასავლეთით განსაზღვრულ მთელ ადგილ-მდებარეობას მფლობელობს.

ბრძოლა ნაღმის აფეთქებით დაიწყო, რომლისაგანაც მრავალი გერმანელი დაიღუპა, ამასთან 50 ჯარის კაცი დავატყვევეთ, მათ შორის ერთი აფიცერიც იყო. გათენებისას, 5 აპრილს, მტერმა გააფთრებული კონტრიერიში მოიტანა, მაგრამ მოგერებულ იქნა. ამ ბრძოლის დროს დიდი ზარალი მოუვიდა. გერმანელების ორი ჰაეროპლანი გავანადგურეთ ასე, რომ 2 აპრილიდან დღემდის სულ ხუთი ჰაეროპლანი გაგვინადგურებია.

პარიზი. 7 აპრილი. დღის სამი საათის გუშინდელ ცნობის აქეთ ლოტარინგიაში და ვოგეზებზე შესანიშნავი არაფერი მომხდარა. სუასონის რაიონში, რეიმსის სექტორზე და არგონებზე საარტილერიო ბრძოლა იყო.

ოსმალეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 7 აპრილი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვისპირის გზით, 5 აპრილს, სროლა გრძელდებოდა. სხვა გზებზე მდგომარეობა უცვლელია.

ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო დამოკიდებულება უცხოეთთან.

წერილი ლონდონიდან.

(მიმოხილვა 1884-დან 1912 წ—დი).

შემდეგი იხილე „სამშობლო“-ს №№ 31—50

(დასკვნა).

დასასრული უნდა აღვნიშნოდ რომ მიუხედავად ბათუმსა და ფოთზე გემების მიმოსვლისა, არც ერთი ჩვენი ახალგაზდა მეზღვაურობას არ სწავლობს, ეს კი ძლიერ სამწუხაროა, რადგან მეზღვაურობა ჯანმრთელი და სასარგებლო ხელობაა. უცხოეთის სხვადასხვა ნავთ სადგურებში მოგზაურობა და ენების შესწავლა ძლიერ ხელს შეუწყობდა ჩვენი ვაჭრობის განვითარებას. ამას გარდა მეზღვაურობასთან მჭიდროდ დაკავშირებულია საექსპედიციო ხელობა, რომელ დარგშიაც ჩვენ მარტო ერთი ადამიანი მოგვეპოვება ბათუმში. ყოველ შემთხვევაში საჭიროა ამ ჩვენთვის შედარებით ახალ დარგს ყურადღება მიექცეს, რადგან ნავთ სადგურებში ფეხის მოკიდება მარტო მეზღვაურ ელემენტს შეუძლია. დღეს კი სამწუხაროდ ჩვენი მეზღვაურობა მარტო ორი სამი ფილუკით განისაზღვრება.

უცხოეთში გასაზიდ საქონელთა სიაში არ მოგვიხსენებია თაფლი და ხილი.

თუმცა ჩვენი თაფლი კარგი ღირსების არის, მაგრამ უცხოეთის ბაზრებზე ვერ უწევს მეტოქეობას იტალიის, საფრანგეთის და იამაიკის თაფლს. იტალიის და საფრანგეთისას ვერ უწევს მეტოქებას ღირსებით და იამაიკისას ფასით.

გამხმარ ხილს და კონსერვებს კი იმ შემთხვევაში ექნება ბაზარი უცხოეთში, თუ ბევრს დავამზადებთ და ისეთივე ღირსებისას როგორც საფრანგეთში და კალიფორნიაში. ჯერ ჯერობით კი ძლიერ სასარგებლო იქნება რომ კონსერვების ნიმუშები უცხოეთის გამოფენებზე გამოვიტანოთ ხოლმე, რათა ამ ნაირად ჩვენს ნაწარმოებს სახელი მოუპოვოთ. იმედია ახლად დაარსებული „ამიერ კავკასიის მეხილეთა საზოგადოება“ ხელს შეუწყობს ამ საქმეს.

ამით ვათავებთ ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მიმოხილვას (ექსპორტი და იმპორტი). როგორც სტატისტიკური ცნობებით სჩანს.

412—1912 წლამდე სულ უცხოეთში გაუზიდავთ ბათუმზე და ფოთზე.

417 მილიონი მანეთის საქონელი (ნავთს არ ვთვლით).

ამავე ხნის განმავლობაში შემოუზიდავთ ბათუმზე და ფოთზე უცხოეთიდან.

200 მილიონი მანეთის საქონელი, (თუნუქას და ხის მასალას ნავთის ყუთებისთვის არა ვთვლით).

გაზიდული და შემოზიდული საქონლის ღირებულებას ყველგან ვანგარიშობთ ბათუმის და ფოთის ნავთსადგურებში ჩაბარებით. თუ რამდენია მოგება გაზიდულ და შემოზიდულ საქონელზე ამის გამოანგარიშება ეხლა ძნელია და შეუძლებელიც, ვიტყვით მხოლოდ, რომ ორივე შემთხვევაში მოგება იმდენად დიდი ჩვენ დაგვრჩებოდა რომ დღეს ასე გალატაკებულნი არ ვიქნებოდით!

ყველაზე სავალალო კი ის არის, რომ ამ მოგების უდიდესი ნაწილი ჩვენი ეგრედ წოდებული „მეზობლების“ ჯიბეში ჩაჩხრიალდა.

ამ უბედურებას კიდევ შემდეგი გარემოება უნდა მიუმატოდ.

ჩვენში ძლიერ ბევრია ისეთი გულუბრიყვილნი, რომელთაც იმის მაგივრად, რომ ქვეყანა ეკონომიურად გაალონიერონ, სულ იმისი ეშინიათ, არიქა ღმერთი არ გაგვიწყრეს და არ გავმდიდრდეთო სულ ეომებიან ვითომდა ქართულ ბურჟუაზიას, რომელიც მხოლოდ ეხლა იბადება.

ასეთი გაუგებრობა ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის უცხოელთა მიერ დამონავებას და თუ მთელი ჩვენი ძალა არ მოვიკრიბეთ სრულიად გაგვრეკენ.

ბევრ მათგანს ვინც ჩვენ მიმოხილვას გულდასმით წაიკითხავს, ეგონება ვითომ მექსიკოზე ან ავსტრალიაზე გვქონდეს ბაასი, მაგრამ ვაი ჩვენი ბრალი რომ ყოველივე ეს ჩვენ ქვეყანაში ხდებოდა და ხდება!

29 წლის განმავლობაში ჩვენს გარშემო მილიონები ტრიალებდა და ჩვენ ამ პროცესიდან გარიყულნი ვიყავით.

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ სილარიბეზე ტირილი მიუტევებელია. სიმდიდრე ბევრია, მხოლოდ მას მოვლა და გამოყენება უნდა.

თუ უცხოეთთან ვაჭრობა ჩვენი გავლენის ქვეშ არ იქნა, სამუდამოდ სხვისი მაჩანჩალანი ვიქნებით, შინაური ვაჭრობაც არ განვითარდება, რადგან თუ არ ვიცით რა ფასებში იყიდება ჩვენი საქონელი უცხოეთში ან რამდენად არის ნაყიდი ის საქონელი, რომელიც უცხოეთიდან ჩვენში შემოაქვთ, ყოველთვის განზე დავრჩებით.

თუ გვინდა უბედურება თავიდან ავიცილოდ საჭიროა საერთო ძალით მოქმედება, განცალკავებული მუშაობა ვერას გვიშველის!

ამისთვის კი საჭიროა დავაარსოთ სააქციონერო საზოგადოება, რომელიც ამ მძიმე, მაგრამ ჩვენი ქვეყნის გამაძლიერებელ მუშაობას იკისრებს.

თუ როგორ უნდა მოვაწყოთ ასეთი საააქციონერო საზოგადოება და რა მნიშვნელობა ექნება მას, ამაზე ცალკე მოხსენება გვექნება.

სამთა—მადნო საქმე ჩვენში.

ჩვენი ქვეყანა ძველი დროიდან მადნეულობის ბუდედ ითვლება. ამ მხრივ მას უცხოეთის ბევრი მეცნიერ-მოგზაური იხსენიებს, ალაგ ალაგ ძველი ნამუშევარი მაღაროებიც კი მოიძევება.

გარდა მარგანეცისა ჩვენში შემდეგი მადნეულობა მოიპოვება: სპილენძი, თუთია, რკინა, გოგირდი, კობალტი, ქვანახშირი: ბარიტი, კიზელგური და სხ. ამათგან მარტო სპილენძის დამუშავება სწარმოებს შესამჩნევად, ისე კი ჯერ ბევრია დასამუშავებელი.

მიუხედავად ასეთი მადნეული სიმდიდრისა ჩვენი ქვეყნის გეოლოგიური გამოკვლევა ჯერ წესიერად არ მომხდარა. ამ 2 წლის წინად ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში ბ-ნმა ციციშვილმა წაიკითხა მოხსენება ჩვენი ქვეყნის სამათა-მადნო სიმდიდრის შესახებ და იმავე კრებაზე გამოითქვა ის აზრი, რომ ცალკე გეოლოგიური საზოგადოება დაარსებულიყო: შემდეგში აპირებდენ ქართულ სამეურნეო საზოგადოებასთან დაეარსებიათ გეოლოგიური განყოფილება. თუ ეს აზრი განხორციელდა კარგი საქმე იქნება, რადგან სამეურნეო საზოგადოება ამავე დროს ნიადაგის მეცნიერულად შესწავლასაც მოახერხებს.

რა უშლის ხელს ევროპიული კაპიტალის ჩვენ სამთა-მადნო საქმეში ჩარევას?

1—ჩვენების გულუბრყვილობა, რადგან ჩვენში ბევრს ყოველი ახლად მოვლინებული ტრაპიზონელი ბერძენი და ხარკოველი ურია, ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტი გონია;

2—ევროპიელ ავანტიურისტებთან საქმის დაჭერა, რომელთაც მადა აეძრათ და ამ ბოლო დროს ჩვენ ქვეყანას წურბლებივით მოედვენ, მაგრამ აბა იმათ რა უნდა გვიშველონ, როდესაც არც ფული აქვთ, არც ნდობა და არც ნამუსი. ერთი ანდაზის არ იყოს, ისე გამოდის: „ბრმა ბრმას აეკიდა, სამარემდე მიმატანეო“.

3—თუ ვისმე მადანიანი ადგილი გააჩნია ოპციონს ერთსა და იმავე დროს, ორმოცდა ათ პირს მაინც აძლევს და ფიქრობს, ვინც ადრე მოასწრებს იმასთან გავათავებ საქმესო, მაგრამ ძლიერ მოტყუებული რჩება, რადგან ერთი და იგივე საქმე ევროპიელ კაპიტალისტებს სხვადასხვა პირებიდან მოდის და ამის გამო კარგი საქმეც რომ იყოს, მაინც უნდობლად უყურებს;

4—მადნიანი ადგილების აღწერილობა უმეტეს ნაწილად უთავბოლოდ არის შედგენილი და ცარიელი ფრაზების რახარუხია. ბევრი აღწერილობა რკინის გზის ტეხნიკოსებისგან არის შედგენილი და ბევრი ჩვენებურების მკვირცხლი ფანტაზიის ნაყოფია;

5—თუ ვინმე სტუდენტი აპირებს უცხოეთში წამოსვლას, მაშინვე დასტვირთავენ სხვადასხვა ქაღალდით და ის კი ავიწყდებათ, რომ ევროპიელები სტუდენტებთან სამთა-მადნო საქმეზე ლაპარაკს არ არიან მიჩვეული;

6—მუშაობას მიუჩვეველი ქართველი, ყოველთვის გაურბის ძნელ საქმეს და სურს ერთ კვირაში მილიონერი გახდეს. ასეთმა სურვილმა გამოიწვია ის გარემოება, რომ ჩვენში ყველა სამთა-მადნო საქმეების წარმოებას ლამობს;

7—მეტად მადნიანი ადგილი ჩვენში სახაზინოდ ითვლება, რაიცა აფრთხობს ევროპიელებს, რადგან მოგების კარგა ძალი ნაწილი ხაზინას უნდა მიეცეს;

რომ ასეთს არა ნორმალურ მდგომარეობას ბოლო მოეღოს, საჭიროა სამთა-მადნო საქმეების წარმოებაც იმ საქციონერო საზოგადოებას გადაეცეს, რომლის დაარსებაზედაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი, ასეთ დაწესებულებას ევროპიელ კაპიტალისტები უფრო ნდობით მოეპყრობიან და ამ ნაირად დაიცავთ იმ ეროვნულ განძს, რომელიც ძლიერ მალე შეიძლება ხელიდან გამოგვეცალოს. ამის მაგალითები საკმაოდ მოგვეპოვება: ჭიათურაში, გურიაში და სხვა.

ევროპიული კაპიტალი უსათუოდ საჭიროა მადნეულობის დასამუშავებლად, მაგრამ თავი და თავი საქმე, რომ ჩვენი ადგილები კარგს პირობებში გავსცეთ და მადნეულობის ადგილებში შესაფერ მონაწილეობას ვღებულობდეთ, თორემ მერმე გვიანღა იქნება ტირილი.

ასეთივე საფრთხე მოელის ჩვენ ტყეებს, რომლითაც მთავრობაც არავითარ ყურადღებას არ აქცევს. მომავალ ათი წლის განმავლობაში ხეების, განსაკუთრებით მუხის დიდი ბაზარი ექნება.

დავით ლამბაშიძე.

სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. დეპ. სააგენტ.

ბუქარესტი. 7 აპრილი. კონსტანტინეპოლიდან იტყობინებიან, რომ თალაატ-ბეი სოფიას უეცრათ წავიდა. მის ასეთ წასვლას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რადგანაც ოსმალეთისა და ბულგარეთის მთავრობებ შორის დაწყებულ მოლაპარაკებასთან კავშირი აქვსო. ფონდერ-გოლცი უკან დაბრუნების შემდეგ სულთანმა ორჯერ მიიღო, რომელსაც იმპერატორ ვილჰელმის წერილი გადასცა.

სოფია. 6 აპრილი. კონსტანტინეპოლიდან ცნობაა, რომ ფონდერგოლცი ოსმალეთის პირველი არმიის ხელმძღვანელათ დაინიშნაო.

ბუქარესტი. 7 აპრილი. კონსტანტინეპოლიდან მოსული ცნობით კრეისერი „გებენი“ უკვე შეაკეთეს და შავ ზღვაზე გამოვიდა სავარჯიშოთ, შემდეგ ისევ კონსტანტინეპოლს დაბრუნდა.

ათინა 7 აპრილი. კუნძულ მიტელენიდან იტყობინებიან საროსზე, დარდანელზე და სმირნაზე ერთდროულათ იერიშის მოსატანათ მოკავშირეთა სამზადისის შესახებ, ამისათვის მუდროსში ინგლისსა და საფრანგეთს 70 ჯარით სავსე ტრანსპორტი უდგას. ოსმალები საროსსა და სრუტეს ნაპირებს ამაგრებენ.

სტოკჰოლმი 7 აპრილი. შვეციის გემი „კასტორი“ გულიადან სტოკჰოლმს მიმავალი, რომელიც სხვადასხვა საქონლით იყო დატვირთული, გერმანელებმა დაიჭირეს და სვინემიუნდში მიიყვანეს.

პეტროგრადი 7 აპრილი. ექიმთა საკმაო რიცხვის შესავსებათ მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ განათლების სამინისტროსაგან საექიმო განყოფილებებზე კურსი თერთმეტი საგნით იყოს შემცირებული და სხვა...

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბულგარეთი და მაკედონია.

დიპლომატიური წყაროს ცნობით, სამთა შეთანხმების სახელმწიფოს მთავრობებს ბულგარეთისათვის ახალი წინადადებანი არ წარუდგენიათ. წინანდელი წინადადებანი კი ბულგარეთისათვის ხელსაყლი არ იყვენ. სერბო-ბულგარეთის ინციდენტის გამო, ერთმა გავლენიანმა და პასუხისმგებელმა პირმა განაცხადა: „ახლაცა და მომავალშიც ჩვენ მტკიცე ნეიტრალიტეტს დავიცავთ და არც არავის გავლენაში ვიქნებითო. ბოლგარეთს შეუძლია ერთი კვირის განმავლობაში გაათავისუფლოს მაკედონია სერბიელებისა და ბერძნებისაგან, თუმცა ეს გათავისუფლება დაინტერესებულ სახელმწიფოების ნებადაურთველად დროებითი იქნებაო. ამიტომ რადოსლავოვის კაბინეტი ფიქრობს, რომ მაკედონიის გათავისუფლების მომენტი ჯერ კიდევ არ დამდგარა და, როცა ეს მომენტი მოახლოვდება, ვერცერთი დიდი სახელმწიფო ხელს ვერ შეუშლის ბულგარეთს მაკედონიის გასათავისუფლებლათ და შესაერთებლათ“.

საბერძნეთის პოლიტიკა.

„პოლიტიკენ“-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს ზოგრაფოს განუცხადებია, რომ საბერძნეთის მთავრობა იძულებულია ამ ჟამათ თავი დაანებოს პოლიტიკას, რომელიც მას ბრწყინვალე შედეგებს უქადის. ეს კი იმით უნდა ავხსნათ, რომ საბერძნეთმა ანგარიში უნდა გაუწიოს ორ გარემოებას, პირველი—თავიდან უნდა აიშოროს ბულგარეთის მხრიდან მოსალოდნელი საშიშროება და მეორე—უნდა უზრუნველყოს ოსმალეთში მცხოვრები ბერძნები აწიოკება ამოჟლეტისაგან, საბერძნეთის გამოსვლის შემდეგაო.

ზოგრაფოსს მწუხარებით აღუნიშნავს ვენიზელოსის გადადგომა და იმედი გამოუთქვამს, რომ იგი კვლავ დაუბრუნდება მთავრობასაო.

ოსმალეთის სომხეთის ავტონომიის საკითხი.

თემთა პალატას დეპუტატი ვილიამი შეეკითხა: განზრახვა აქვს თუ არა ინგლისის მთავრობას მონაწილეობა და რაიმე ზომები მიიღოს, რომ აზიის ოსმალეთში მცხოვრებმა სომხებმა მიიღონ ისეთი თვითმართველობა, როგორსაც რუსეთი პირდება პოლონელებსაო. ლორდ პრიმზორმა დაარწმუნა ვილიამი, რომ ინგლისის მთავრობა მზათაა იზრუნოს სომხების ინტერესებისთვის აზიის ოსმალეთში, მხოლოდ ჯერჯერობით ამ საკითხის შესახებ გადაჭრით რისამე თქმა და ნაბიჯის გადადგმა ყოვლად შეუძლებელიაო.

ალბანელი ინსურგენტები.

ინსურგენტები დურაცოზე სროლას განაგრძობენ. ტირანსა და ელბასონში ბევრი საზოვადო მოღვაწე მოკლული. ინსურგენტების წარმომადგენლები ქრისტიანების სოფლებში დადიან და მცხოვრებლებს ემუქრებიან ამოჟლეტით, თუ მათ არ შეუერთდებიან და არ მოითხოვენ მათთან ერთად ოსმალეთის რეჟიმის დაბრუნებას.

დაშნაკცუთიუნების საქმე.

უმართებელესმა სენატმა ბრალმდებლის პროტესტის თანახმათ შესცვალა თფილისის სამოსამართლო პალატის გასამართლებელი განაჩენი სომხის მღვდლის ტერ მკარიანისა და სხვა 12 ბრალდებულის საქმის შესახებ, რომელთაც ბრალდებოდათ დაშნაკცუთიუნების პარტიის წევრობა და ხელ ახალ გასარჩევათ დაუბრუნა იმავე პალატას.

ომი და მრეწველობა.

ომიანობის განსაკუთრებულმა პირობებმა „თავისუფალი“ წარმოების პრინციპი, რომელზეც აგებულია თანამედროვე წყობილება, რამდენიმეთ უკვე შეარყია, შეატრიალა და ლამის სულ ძირფესვიანათ გ დააბრუნოს.

თავისუფალ მრეწველობის კლასიკურმა ქვეყანამაც კი—ინგლისმა—იგრძნო ეს და ომის დასაწყისშივე აღიარა, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს მრეწველობის საქმეს კანტროლი გაუწიოს, განსაკუთრებით კი ისეთ დარგებს, რომლებიც სამხედრო მასალას ამზადებენო.

გერმანიამ ხომ, როგორც წინა წერილშიაც აღვნიშნეთ, სავსებით განახორციელა ეს და თითქმის ყოველგვარი წარმოების მოწესრიგება თვითონვე იკისრა.

რამდენიც დრო გადის, იმდენათ ინგლისიც უფრო რწმუნდება ასეთი კანტროლის აუცილებლობაში და ისიც ცდილობს საჭირო ზომები მიიღოს.

ინგლისის მთავრობამ, მიმდინარე წლის თებერვლიდან ასეთი პოლიტიკის სისრულეში მოყვანა უკვე დაიწყო. საკმაო სამხედრო მასალის დამზადების საჭიროებამ მთავრობა აიძულა, რომ ყურადღება მიექცია მრეწველობისთვის და მის გასაძლიერებლათ საჭირო ზომები მიეღო.

ხშირათ ირღვეოდა, მაგალითად, წესიერი მსვლელობა წარმოებისა, ხშირათ დაწყებული სამუშაო დრო ან ზედმეტი სამუშაო დროც საკმაო არ იყო დაკვეთილ საქონლის დასამზადებლათ და მაშინ სამინისტრო იძულებული იყო წარმოების წესრიგი ისევ აღედგინა, შეწყვეტილი მუშაობა განეახლებია, სამუშაო დრო გაედიდებია ან ზედმეტი მუშაობა შემოეღო და სხვა. აქედან ის მწარმოებელთა ურთიერთობაში და განწყობილებაში უნდა ჩარეულიყო, რომ ომის რიგიანათ წაყვანა და ბრძოლის მოგების იმედი ჰქონდა.

მაგრამ ინგლისის კანონებით ეს პარლამენტოთ არ შეიძლება და ამიტომაც 25 თებერვალს, ლოიდ-ჯორჯმა საზოგადოებათა პალატაში შეიტანა ბილლი, რომელიც მთავრობას ნებას აძლევს თავის განკარგულებაში იქონიოს არა მარტო სამხედრო მასალის დამმზადებელი წარმოება, არამედ ისეთებიც, რომელთა მოგვარება ისე შეიძლება, რომ სამხედრო მასალის დამზადებას ხელი შეუწყონ; ამ ბილით მთავრობას ნება მიეცა: თავის მიერ შემუშავებულ გეგმის თანახმათ მოაწყოს აღნიშნული წარმოება და მუშაობის საქმეც ამის თანახმათ მოაწესრიგოს, რომ შრომის ნაყოფიერება გაიზარდოს.

თვითონ ლოიდ-ჯორჯმა აღნიშნა თავის სიტყვაში ამ ბილის დანიშნულება და მიზანი:

„ჩვენ ვთხოულობთ ასეთ დასტურს თქვენგან—ამბობს ის—არა იმიტომ, თითქო ჩვენ რაიმე უთანხმოებას ვგრძნობდეთ მწარმოებლებთან, არამედ იმიტომ, რომ მივეშველოთ მათ იმ დაბრკოლებათა თავიდან ასაშორებლათ, რომლებსაც ახლა ისინი ხვდებიან“.

არც ოპოზიციისა და არც მუშათა პარტიის წარმომადგენელს არსებითად ბილლის წინაალმდეგ არაფერი უთქვამთ, რაკი ხედავდენ, რომ იგი ქვეყნის დაცვის საჭიროებით იყო გამოწვეული.

პირველებმა, ე. ი. ბურჟუაზიულმა ოპოზიციამ მხოლოდ ის შენიშნა, რომ წარმოებაში ჩარევის დროს მწარმოებელთა აზრიც მოიკმინოს და თუ რაიმე ზარალი მოუვა მათ, სახელმწიფომ აუნაზღაუროს; ხოლო მეორენი—მუშათა წარმომადგენლები მოითხოვდენ, რომ მთავრობა წინდაწინვე მოელაპარაკოს და შეუთანხმდეს სათანადო ტრედიუნიონების წინამძღოლებს და მეთაურებსო.

ლოიდ-ჯორჯმა, როგორც ჭეშმარიტმა ლიბერალმა ყურად იღო ეს შენიშვნეპი და მართლაც, 4 მარტს, მოიწვია სახელმწიფო საეკონომიო თათბირი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ ერთი მხრით პარლამენტის, სამხედრო საზღვაო, საფინანსო ღ სავაჭრო-სამრეწველო უწყებათა წარმომადგენლები, ხოლო მეორე მხრით—35 უდიდესი ტრედ-უნიონის და მათი განყოფილების დელეგატები. სხდომა გაიხსნა ლოიდ-ჯორჯის დიდი საპროგრამო სიტყვით, რომელშიაც მან აღიარა, რომ მთავრობის ჩარევამ მრეწველობის საქმეში კანონს გარეშე არ უნდა ჩაითვალოს, მით უფრო ინგლისში, სადაც ამ საგნის შესახებ რამდენიმე ბილი

უკვე მიიღეს. „მარა, თუმცა მთავრობას უფლება აქვს ჩაერიოს საქმეში, მას არ ძალუძს მოაგვაროს იგი ისე, თუ მას ხელი არ შეუწყეს ამ მიზნით თვით მწარმოებლებმა და მუშებმა“.

რაში უნდა გამოიხატოს მთავრობის კონტროლი? რა აქვს ამდენი საბოდიშო ამისთვის მთავრობას? აი რა:

ჯერ ერთი ის მწარმოებლებს მოსთხოვს, რომ ომის საჭიროების დაგვარად გააფართოვონ ან შეამცირონ თავიანთი წარმოება, მეორე მათი მოგება შეკვეცილი და განსაზღვრული უნდა იქნას, ვინაიდან ეს საჭირო იქნება მუშათა ნორმების შესაცვლელად; და რადგან მუშები ნორმის შეცვლას ისე არ დათანხმდებიან, თუ არ დაინახეს, რომ ეს ცვლილება—მსხვერპლი მწარმოებლებლის—ხაზეინების სასარგებლოთ კი არ მიდის, არამედ სახელმწიფოსთვის. რაც შეეხება თვითონ მუშებს, მათ ომის განმავლობაში ხელი უნდა აიღონ გაფიცვის უფლებაზე. ყველა სადაო საგანი ისე უნდა გათავდეს, რომ წარმოება არ შეჩერდეს. ეს კი უნდა მოხერხდეს სამედიატორო სასამართლოს ამა თუ იმ ფორმით. ამას გარდა უნდა გაუქმებულ იქნას ომის დროს წარმოებაში ყველა ის წესები, რომლებიც წარმოებას რითიმე აფერხებენ და მის ნაყოფიერებას ამცირებენ. მაგალითად, მანქანების განსაზღვრა, რომელსაც ერთი მუშა განაგებს, ან უბრალო მუშების და ქალაქების შრომის გამოყენების განსაზღვრის წესები.

თათბირმა ყველა ეს კითხვები გაარკვია, ერთი დადგენილება გამოიტანა და მემორანდუმის სახით გამოაქვეყნა, რომელზედაც ხელი უწერიათ როგორც ლოიდ-ჯორჯის, ისე მუშათა წარმომადგენლებსაც.

ამ მემორანდუმის სამი მუხლი ომის დროს შრომის პირობებს ეხება და მუშებს ავალებს, რომ წარმოება არ შეწყვიტონ, არ შეამცირონ; რაც სადაო საკითხი ექნებათ, ყოველივე სამედიატორო სასამართლოს წესით გაარჩიონ. მედიატორებათ მათი სურვილისამებრ ან სახელმწიფო დაწესებულება იქნება, ან კერძო პირებს აირჩევენ თავთავიანთი მხრით თანასწორათ. ყველა ამ წესების დასაცავათ მუშათა წრიდან დგება კომიტეტი, რომელიც იმავე დროს შუამდგომელი იქნება მუშათა მასისა და მთავრობას შორის.

მემორანდუმის მეორე ნაწილი მრეწველთ ეხება და წარმოების განსაზღვრის წესებს ასუბუქებს; მაგრამ ეს შემსუბუქება იმ პირობით ხდება, რომ მწარმოებლები ომის შემდეგ მუშაობის ძველ ნორმებს ისევ აღადგენენ; უბრალო მუშების მიღებით არ ისარგებლებენ და სამუშაო ქირას არ დაუკლებენ; ყველა იმ მუშებს, რომლებიც ომის დროს იყვნენ წარმოებაში, შემდეგშიაც დასტოვებენ და ამ წესებში რაიმე ცვლილების შეტანას მუშებთან შეუთანხმებლათ არ მოახდენენ. ამნაირათ, ის დაბრკოლებანი, რაც მთავრობას წარმოების მოწესრიგებაში მუშების მხრით ხდებოდა, თითქო აშორებულ იქნა; იმედი აქვთ, რომ აღნიშნულ მემორანდუმს, რომელზედაც მუშათა წარმომადგენლებს ხელი უწერიათ, ყველა ტრედ-იუნიონნებიც მიიღებენ; მხოლოთ იმ პირობით, თუ ლოიდ-ჯორჯის დაპირება—მწარმოებელთა მოსაგები განსაზღვრული იქნებაო—(ერთი გაზეთის ცნობით 10 პროც.) შესრულდება და ამის წინააღმდეგ მრეწველნი არ ამხედრდებიან და არ დაარღვევენ მას; წინააღმდეგ შემთხვევაში კლასთა ბრძოლის შეჩერება—მუშებისა და მწარმოებელთა ნებაყოფლობით შეთანხმება უნიადაგო დარჩება და ლოიდ-ჯორჯის პლანებიც საპნის ბუშტებივით უნაყოფოთ გაქრება, რაც მოსალოდნელია.

დ—ელი.

ახალი ამბავი.

7 აპრილს, თფილისიდან ჩამოვიდა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრი კარლო ჩხეიძე. ბ. ჩხეიძეს განზრახვა აქვს გაემგზავროს ბათომისაკენ და დაათვალიეროს აჭარლები.

◆ **აკაკის საღამო.** აკაკის დამკრძალავ ქუთაისის კომიტეტს, დღეს, 9 აპრილს, ქალაქის თეატრში უნდა გაემართა აკაკის საღამო, მაგრამ საღამო, სხვა და სხვა მიზეზის გამო, სხვა დროისათვის გადაიდვა.

◆ **საგუბერნიო კოოპერატივის კრება.** 7 აპრილს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა საგუბერნიო კოოპერატივის წევრთა წლიური კრება, რომელსაც დაესწრნენ ქუთაისის გუბერნიიდან პროვინციის მომხმარებელი საზოგადოების წარმომადგენელნი. კრებამ თავჯდომარეთ აირჩია მასწავლებელი იასონ ნიკოლაიშვილი და მდივნათ დ. ჩადუნელი. კრებაზე გასარჩევათ წამოყენებული იყო 11 საკითხი, მაგრამ აქიდან კრებამ მხოლოდ რამდენიმე საკითხის გარჩევა მოისურვა. კოოპერაციის დამფუძნებელს მოხსენებაზე უარი უთხრეს. კრებამ წესდების რამდენიმე მუხლი შესცვალა და დაადგინა: ამ დღეებში გახსნას კოოპერატიული ფურნე და ფურნის განყოფილებები კი ქალაქის ყველა კუთხეში. გამგეობამ ფურნე უნდა აწარმოოს მხოლოდ საწევრო და საპაიო გადასახადით. სესხის აღების შესახებ კრებამ უარი სთქვა. დიდი კამათი გამოიწვია იმ საკითხმა- -მიეცათ თუ არა ნისიათ წევრებისათვის პური. კრებამ უარყო ნისიათ გაცემა პურისა წევრებზე.

დასასრულ აირჩიეს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები. გამგეობაში აირჩიეს 5 კაცი: გიორგი ტუსკია, ბაკა ხვიჩია, ზაქ. მოგუაძე, დ. ჩადუნელი და ქ-ნი შენგელიასი, ხოლო კანდიდატებათ: ს. ჯორბენაძე, ნ. ალფაიძე და მ. სვანიძე. სარევიზიო კომისიის წევრებათ: შ. სანებლიძე, იასონ გაბილაია და იოსებ გუგუშვილი და მათ კანდიდატათ ვ. ბეჟანეიშვილი. კრება ღამის 12 საათზე დაიხურა.

◆ გუშინ ქუთაისში რუსეთიდან შემოვიდა 2 ვაგონი პურის ფქვილი და 1 ვაგონი სხვადასხვა საბაკალეინო საქონელი.

◆ სამეურნეო სკოლის გამგეობამ სოფ. სადმელის (რაჭის მაზრა) სკა ქუთაისში გადმოიტანა.

◆ თფილისიდან ჩამოვიდა ინჟინერ ქურდიანისა და ამხ. ტეხნიკი, რომელიც დღეს ნაქერალას ქედისაკენ გაემგზავრება მიდამოების გასამიჯნავათ; ტეხნიკმა უნდა გამოარკვიოს, თუ რომელ სოფლებზე ექნება მიმდინარეობა ქუთაისის წყალსადენს.

◆ ქუთაისის ქალთა საზოგადოების სახელოსნო სკოლის გამგეობა ამ მოკლე ხანში სამინისტროდან მოელის თავის სკოლის უფლებას. ამ უფლებაზე ბ. გუბერნატორმა და მეფის მოადგილემ ხელი უკვე მოაწერეს—სკოლის უფლება მით განისაზღვრება, რომ კურსდასრულებულს მიეცემა ნება სამინისტრო სკოლებში ხელ საქმის მასწავლებლათ წავიდენ. წელს სკოლაში ორი კლასია, მომავალი სეკტემბრიდან კი გახსნილი იქნება მესამეკლასიც. საზოგადოებას განზრახვა აქვს, თუ შესაფერი სახსარი იშოვნა, აგოს თავის სკოლისათვის საკუთარი შენობა, სადაც მოწაფე ქალებისათვის გახსნილი იქნება განყოფილება საგნების შესასწავლათ.

◆ ქუთაისის გუბერნატორი, კამერიუნკერი ბ. პოტულოვი სთხოვს ჯარში გაწვეულთა დამხმარე სათ.-აზ. საგუბერნიო კომიტეტის გამგეობას გაუგზავნოს ცნობები შემოსავალ გასავლის შესახებ.

◆ სათადარიგო ჯარისკაცთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტს ქუთაისის გუბერნიის პირველი რაიონის სახალხო სკოლების მასწავლებლებმა გადასცეს თავის ჯამაგირებიდან 250 მანეთი.

◆ დღეს, 9 აპრილს, შესდგება ჯარში გაწვეულთა ოჯახების ბავშთათვის სასადილოს მოსაწყობათ ქალთა საზოგადოების მიერ არჩეული კომისიის კრება. გამგეობა კომისიის წევრებს გაუნაწილებს რაიონებს, რათა დაწვრილებითი ცნობები შეკრიბონ ჯარში გაწვეულთა ოჯახებიდან, თუ ვის უფრო ეჭირება სასადილოთი დახმარება.

◆ ბაზრის მეთვალყურის თანაშემწემ პლატონ კორძაიამ პურის ნიხრის დარღვევისათვის ოქმები შეუდგინა მეფურნე ანესა სიტმალიძის და იოსებ ფოფხაძეს.

◆ არქიელის გორაზე ასასვლელ კიბეზე ამ ჟამათ დიდი უსუფთაობაა. კიბეზე ეზოებიდან ყოველივე სიბინძურე ჩამოდის. მცხოვრებლები კიბეზე ჰყრიან აგრეთვე მკვდარ ქათმებსა და კატებს; იქვე არის საქათმოები.

ასეთივე სიბინძურეა რკინის გზის სადგურის აქით მომავალ ქუჩაზე. ყაზარმებიდან და დუქნებიდან ყოველგვარ ნარეცხ წყალს ქუჩებში ღვრიან.

საჭიროა ამ გარემოებას ქალაქის სანიტარებმა ზედმეტი ყურადღება მიაქციონ.

თეატრი.

დღეს, ქარ. მსახიობთა ამხანაგობა წარმოადგენს ნინო ნაკაშიძის ორიგინალურ პიესას „ვინ არის დამნაშავე“? გურულების ცხოვრებიდან, უმთავრეს როლებს შეასრულებენ ქ-ნი მ. მდივანი, ო. ლოლოშერიძე, ჯავახიშვილი, ქილარჯიშვილი, ბ. ვალ. შალიკაშვილი, მურუსიძე, გვარაძე, ურუშაძე და სხვანი.

—

„იუდას მემკვიდრეს“ წარმოდგენის ბილეთები, რომელიც განზრახულია შაბათს და კვირას ზედიზედ იყოს დადგმული, ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში. ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

—

ბ-ნი ვასო ურუშაძე, რომლის ბენეფისიც შესდგება ხუთშაბათს, 16 აპრილს, ფიქრობს გამართოს „მხიარული საღამო“. სხვათა შორის, წარმოდგენილი იქნება ახალი 3 მოქ კომედია „დამთხვეული დედაკაცი“—გად. შალვა დადიანის მიერ.

თფილისი.

საკურორტო საზოგადოება. ინჟინერმა ბრაილოვსკიმ მთავრობას წარუდგინა წესდება საკურორტო საზოგადოებისა, რომელიც თბილისში უნდა დაარსდეს. საზოგადოების დამაარსებლად 90 კაცია.

— **სარგის კაკაბაძე.** ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების კრებაზე, 4 აპრილს გ. იმნაიშვილმა განაცხადა, სარგის კაკაბაძე წერილობით თუ სიტყვიერად მუდმივ უდიერად იხსენიებს ჩვენს ქართველ მოღვაწეებსა და ყოველმხრივ სცდილობს, ლაფში ამოსვაროს და დაამციროს ქართული კულტურაო და მოითხოვა, რომ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ ხმა აღიმაღლოს და შესაფერი მსჯავრი დასდოს ს. კაკაბაძის საქციელს. საზოგადოების თავჯდომარემ გ. თ. ქორდანიამ საჭიროდ სცნო, კულტურის საზოგადოებამ მსჯელობა იქონიოს ს. კაკაბაძის საქციელის გამო, მით უფრო, რომ ამას საზოგადოების ერთ-ერთი წევრი თხოულობს და თვით ს. კაკაბაძეც ქართულ კულტურის მოყვარეთა საზოგადოების წევრია. ს. კაკაბაძის საქციელის გამო საზოგადოების წევრთა კრება ამ დღეებში საგანგებოდ იქნება მოწვეული. რაიმე მსჯავრის გამოსატანათ საჭიროა დასწრება საზოგადოების წევრთა ორი მესამედისა.

— ინფანტერიის გენერალი ა. ზ. მიშლაევსკი და მისი მეუღლე ანნა ნიკოლოზის ასული, 4 აპრილს, ტფილისიდან გაემგზავრენ. ისინი მხურვალედ გააცილეს მთავრობისა და საზოგადო დაწესებულების წარმომადგენლებმა.

— **ახალი რკინის გზა.** პეტროგრადში საბოლოოდ გადაუწყვეტიათ სახელმწიფო ხარჯით რკინის გზის შტოს გაყვანა ნატანებიდან ოზურგეთამდე.

რად დაჰკარგეთ სიწითლე!?

> „ქალსა თუ კაცსა ნამუსი,
> რომ უნდა ჰქონდეს ცხადია“.

ზნეობრივად დაცემული და გონება დაჩლუნგებული უნდა იყოს ადამიანი, რომ ხალხის დღევანდელმა არაჩვეულებრივმა მდგომარეობამ მწარე გრძნობები არ აღუძრას...

ადამიანის სახელის ტარების უფლება არ უნდა ჰქონდეს იმ ადამიანს, რომელიც გულგრილად მიჩერებია დღეს მუშა ხელისაგან დაცარიელებულ, დაობლებულ სოფლებს,

არ მეკონა, არ ვფიქრობდი, თუ ამისთანა შავბნელ დროს მოინახებოდა ისეთი მოქალაქე, რომელიც, ნაცვლად დახმარებისა, წიხლჩაკრულს კიდევ წიხლს ჩაკრავდა, დამწვარს კიდევ მდუღარეს დაასხამდა.

დიახ! არ მეგონა, არ ვფიქრობდი, მაგრამ მწარედ მოვსტყუვდი!.. თურმე ყოფილან და არიან ჩვენ შორის ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ დღევანდელი არაჩვეულებრივი მდგომარეობით... თურმე ყოფილან და არიან ჩვენში ადამიანები, რომლებსაც მიზნათ დაუსახავთ, ამ შავდღეშიაც, ჯიბის გასქელება, გამდიდრება, სხვის უბედურებაზე თავისი საკუთარი ბედნიერების აგება...

ამგვარი სამარცხვინო მისწრაფება ყველაზე უფრო გარკვევით, ყველაზე უფრო ნათლად გადაგვიშალა თვალწინ თავისი მოქმედებით ვაჭრების ერთმა ნაწილმა,

ხალხის დღევანდელი უნუგეშო მდგომარეობა ზოგიერთი ვაჭრისათვის „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო“ რომ იტყვიან, ის არის.

ამ ვაჟბატონებისათვის აღარ არსებობს კანონი, ნიხრი, ჩვეულება. როგორც სურთ ისე მოქმედებენ, როგორც ენებებათ, ისე ვაჭრობენ.

მართალია დღევანდელმა უმაგალითო ომმა ყველაფერს თავისი დაღი დაასვა: მისვლა-მოსვლა და საქონლის გადატანა გაძნელდა, ყველაფერი გაძვირდა, მაგრამ მაგარი ის არის, რომ დღევანდელი არევდარევით ურცხვად სარგებლობს ვაჭრების ერთი ნაწილი მაინც. ეს ვაჭრები ზოგიერთ შემთხვევაში იმგვარ უადამიანობას ჩადიან, რომ შეუძლებელია გაჩუმება.

დღევანდელ ჩემ წერილში მსურს საზოგადოებას მივუთითო იმ უსამართლობაზე, რასაც ჩადიან ზოგიერთი ვაჭრები შაბიამნის ძვირად გაყიდვით.

დადგა გაზაფხული. მინდორ-ველი ამწვანდა. ვაზმაც თავისი ალო არ დაკარგა. გამოკუკურდა. რამდენიმე დღე და კუკური ფოთლად იქცევა; ფოთოლს ესაჭიროება შაბიამნით წამლობა. ეს კარგათ იციან ვაჭრებმა, დაღონდა უკანასკნელების დიდი უმრავლესობა: შაბიამნის შემოზიდვა უგზოობის გამო შეწყვეტილია და მაშასადამე ვაჭრების უმრავლესობასაც მოაკლდება წელს შემოსავლის ერთ-ერთი წყარო; იღიმება მეორე, მცირე ნაწილი ვაჭრებისა; ის გარს უვლის წარსული წლისაგან დარჩენილ შაბიამნით სავსე ბოჭკებს, და იმედიანათ ეუბნება თავის-თავს: —აპა თუ ვარგიხარ ივანე! ეხლა დაგიდგა ხელსაყრელი დრო, გაყიდე სურვილისამებრ, ვინ გაგისწორებს, ვინ დაგიშლის?!

— ფუთი შაბიამანი თუმანი, აცხადებს საქვეყნოდ სახელგაბრწყინვებული ივანე; ფუთი შაბიამანი 12 მანეთი აცხადებს მეორე დღეს; ფუთი 14 მანეთი აცხადებს მეოთხე დღეს. ივანეს მხარს უჭერს მეორეს, მესამეს, მეოთხეს...

წამოყვეს თავი დაბების ვაჭრებმაც, ამ უკანასკნელებმაც შაბიამნით სავსე ბოჭკები გამოდგეს დუქნების წინ და, ამ უსაჭიროესი საგნის დაინტერესებულ სოფლელებს სრულიად გაუწითლებლად ეუბნებიან:—ფუთი 14—15 მანეთიო. ცნობისმოყვარე მოქალაქე გაკვირვებული კითხულობს: რა მიზეზია, რომ სამსა და ოთხ მანეთად ნაყიდი შაბიამანი ხუთმეტ მანეთად გაუხდიათ ვაჭრებს? რად კადრულობენ ისინი ამგვარ საზიზღრობას, რომ ფუთ შაბიამანზე თუმანსა და თერთმეტ მანეთს იგებენ?

ვის შეუძლია ცნობის მოყვარე მოქალაქეს პირველ კითხვაზე პასუხი მისცეს, თუ არა ისევ შაბიამანის გამყიდველმა ვაჭარმა. მივმართოთ ამ უკანასკნელს.

ჩემს შეკითხვაზე, თუ რად გაუძვირებია ასე იაფად ნაყიდი შაბიამანი, ერთი ქუთათური ვაჭარი მეუბნება:

— წარსულ წელში ფუთი შაბიამანი დამიჯდა ოთხი მანეთი და ორი აბაზი, მე თვითონ იძულებული გავხდი 19 აბაზად გამეყიდა; როგორც ხედავთ მიზარალნია. ამას მიუმატეთ ფულის სარგებელი (ფული ხომ გამიცდა, როცა ამდენი შაბიამანი გაუყიდველი დამრჩაო). ხომ გაიგონე, მკითხველო, ვაჭრის აღსარება: იმ სამ აბაზში, რომელიც მას უზარალნია ფუთ შაბიამანზე და ოთხი მანეთისა და ორი აბაზის სარგებელში მადა გახსნილი ვაჭარი თხოულობს გაძვალტყავებულ სოფლელ მევენახისაგან ერთ თუმანს და მეტსაც. ამაზე შორს, როგორც ხედავთ, ვერ წავა უადამიანობა, ხალხის სასაცილოდ აგდება!..

მეორე კითხვაზე—თუ რად სჩადიან ვაჭრები ამგვარ საზიზღრობას, რომ სამსა და ოთხ მანეთში ნაყიდ შაბიამანზე თუმანსა და თერთმეტ მანეთს იგებენ—პასუხი ადვილია: ამ ვაჟბატონებს სურთ შემთხვევით ისარგებლონ, ასობით და ათასობით ჩაიწყონ ჯიბეში და ხალხის გაჭირვებას არ დაგიდევენ.

შაბიამნის გამყიდველმა ვაჭრებმა, გაძვირებას გარდა, კიდე ერთი სისაძაგლე ჩაიდინეს, რომელიც აღშფოთებას იწვევს შეგნებულ ადამიანში, მე მოგახსენებთ თფილისიდან ჩამოსულ ვიღაც ვაჭარზე, შაბიამნის გაყიდვის შესახებ.

— აი, ბატონო, ოცდაათი ბოჭკა სულ თორმეტ-თორმეტ მანეთად ფუთი იყიდა ჩემგან ამ დღეებში თფილისელმა [illegible]მა, მეუბნება სრულიად გაუწითლებლად ერთი ქუთათური ვაჭარი.

— ოცი ბოჭკა სულ თორმეტ თორმეტ მანეთად წაიღო თფილისელმა სომეხმა, მეუბნება მეორე ქუთათური ვაჭარი.

ეს ვიღაც გამდიდრების სურვილით გამსჭვალული ვაჭარი, როგორც გადმოძცეს, ყვირილას, ჩხარს, სვირს და სხვა დაბებსაც სწვევია თურმე შაბიამნის დასაბოჭად; ეჭვი არაა, მიზანს მიაღწევდა.

ხომ ხედავთ, ბატონებო, ამ წლის სამყოფი შაბიამანი სახლში გვქონია, ჩვენი ვენახების საქმე კარგათ ყოფილა, მტრის სასაცილო საქმე არ დაგვემართებოდა: ვენახის ექიმობას შევიძლებდით და ხალხის მდგომარეობა ნივთიერად ცოტათი მაინც შემსუბუქდებოდა, მაგრამ...

არ შემიძლია არ მივმართო ბ-ნ ვაჭრებს შემდეგი კითხვებით: რად ჩაიდინეთ, ბ-ბო, ასეთი უადამიანობა? რად გამოსჭერით ყელი საწყალ ხალხს? რად გაუფუჭეთ ერთად ერთი მარჩენელი ვენახი? რად გააძვირეთ იაფად ნაყიდი შაბიამანი და, რაც უარესია, რად გაჰყიდეთ ეს უსაჭიროესი საგანი ჩვენი მევენახეობისათვის „ვიღაცაზე“? საინტერესოა რა პასუხს მისცემთ სოფლელებს, როცა ეს უკანასკნელები ამა თვის ოციდან იწყებენ დენას ქალაქებში და დაბებში ტომრებით და კალათებით შაბიამნის საყიდლათ?

ნუ თუ გამდიდრების სურვილმა ისე შეგბოჭათ, რომ დაივიწყეთ თქვენი მარჩენალი სოფელი, ეს მუდმივი წყარო თქვენი არსებობა—სიმდიდრისა? ნუ თუ არ გაგახსენდათ შემოდგომა? ნუ თუ არ გაგახსენდათ ყურძნით დატვირთული ურმებით გაჭედილი ქუჩები? ვინ ყიდულობს ხოლმე ამ ყურძენს სამსა და ოთხ აბაზად ფუთს, თუ არა ისევ თქვენ—ვაჭრები? სად მიდის ამ ყურძენში აღებული ფულის დიდი ნაწილი, თუ არა, ისევ თქვენ ვაჭრების ჯიბეში?

რად დაკარგეთ „სიწითლე“—ეს საუკეთესო თვისება ადამიანისა.

ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ!.. ისარგებლეთ ხალხის უპატრონობით ისარგებლეთ...

მაგრამ „ქალსა თუ კაცსა ნამუსი რომ უნდა ქონდეს ცხადია“. მე დაუმატებ—ხალხის, მშობელი ხალხის ხათრი და სიყვარული რომ უნდა ქონდეთ ცხადია: „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“ ხომ გაგიგონიათ; ხალხის აბუჩად აგდებას ერიდეთ

გორგი.

ქართული ენა

და მისი მოქალაქოობრივი უფლება წინათ და ახლა.

რომ იტყვიან ძროხის კუდზე დანა მიატეხაო, სწორეთ ისე მოუვიდა ჩვენს ხალხს.

ქართველი ერი თითქმის 2500 წლიწადი ისტორიულ უღელს, ისტორიულ ცხოვრებას ეწევა და ამ ხნის განმავლობაში, ვინ მოსთვლის, რამდენი ჭირი და ვარამი გამოუვლია, მაგრამ ყველას ამას გაუძლო, ყველა აიტანა და გამარჯვებული გამოვიდა. მაგრამ ის ჭირი, რომელიც მას მე-18 საუკუნის მიწურულში შინაური თუ გარეშე მტრების წყალობით კარს მიადგა,

ვინ იცის, როდის გასწორდება?!

ქართველმა ერმა სწორეთ აქ მიატეხა დანა და ისიც, რაც უფრო გულდასაწყვეტია, მაშინ, როდესაც ერთა შორის თარეში ისპობოდა, როცა მათ შორის სოლიდარობა მყარდებოდა, როცა პატარა ერების ჩაგვრა-აწიოკება ისპობოდა, ერთი სიტყვით, როცა მსოფლიო პოლიტიკაში წონასწორობა მყარდებოდა და ერთა შორის დამოკიდებულობა კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ვარდებოდა, სწორეთ მაშინ მივატეხეთ დანა და ჩვენი ბედი და იღბალი, ჩვენი მომავალი სხვას ჩავაბარეთ იმ იმედით, რომ ის მოგვივლიდა, გვიპატრონებდა. ისიც დიდ იმედებს იძლეოდა, ისიც გვპირდებოდა, რომ ჩვენს ყოფა-ცხოვრებას, ჩვენს ეროვნულ სახეს უცვლელათ შეინახავდა, დაიცავდა. გავიდა დრო და ისტორიული უპირატესობის წყალობით საქართველო უბრალო პროვინციათ გადაქცეულ იქნა. ქართველი ერიც ერთის მხრით ამით დარეტიანებული და მეორის მხრით დაუსრულებელი ბრძოლისა და სისხლის ღვრით დაღ-

სავაჭრო სახლი
ძმ. კუზანოვების
ქუთაისში.

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ცნობილი აბრეშუმის თესლის ფირმის „ეკონომიდის“, ამით აუწყებს მეაბრეშუმეებს, რომ თესლი უკვე მივიღეთ და ვყიდით ხელსაყრელ ფასებში, პარტიობით და წვრილათ.
თესლი შემოწმებულია ტფილისის სააბრეშუმო სადგურის მიერ. მიაქციეთ ყურადღება კოლოფზე თეთრ ბანდეროლს 1—1

საპარტიო სავაჭრო საბაკალეო და კოლონ. საქონლის
ტ. ლ. ბასილაძე და ა. მ. კილასონია
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩ. №

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილ-მოქანცული ცოტა მიირულა, მიყუჩდა, უკეთ რომ ვსთქვათ, გაინაბა, დააყურა, თუ მომავალში როგორ უჯობს, გამოსასვლელ გზას ეძებდა.

დაყრუვდა ქვეყანა! არსაიდან ხმა, არსაით ძახილი! კაცს ეგონებოდა—მოკვდაო.

მაგრამ, რომ იტყვიან, რამაც მოგკლას, იმანვე მოგარჩინოსო, ისე მოგვივიდა. ამ დროს რუსეთში ხმა გაისმა:

ამით გათამამებულმა, ამით გამხნევებულმა ჩვენმა მოამაგეებმა დააყურეს, მაჯა გაუსინჯეს ჩვენ ხალხს და აღტაცებული შესძახეს: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, გაიღვიძებს და აღსდგებაო“. მართლაც, მათი წინასწარმეტყველობა ასრულდა! ქართველმა ერმა გაიღვიძა, აღსდგა, მიიხედ-მოიხედა და დაკარგულის კვლევა-ძიებას შეუდგა; გუშინდელი დაკარგული უფლებების აღდგენა მოიწადინა. თუმცა ნელა, კუს ნაბიჯით, მაგრამ თავის უფლებებს, თავის მოთხოვნილებებს თანდათან აღრმავებს, აფართოებს.

ასეა საზოგადოთ და კერძოთ ქართული ენის შესახებაც.

მაგრამ სიმართლემ თავისი გაიტანა ქართულმა ენამ, ძალით, თუ ნებით, თანდათან მტკიცე ნიადაგი მოიპოვა სასულიერო სასწავლებლებში. ამასობაში ცოტათი მაინც თვალი შეაჭყიტა მან საერო სასწავლებლებშიაც და, დღეს, თუ ხვალ, გამეფდება კიდეც. დაარსდა ქართული გიმნაზიები ტფილისსა და ქუთაისში და ქართული ენის სწავლება კი არა, თვით ქართულ ენაზე ისწავლება საგნები დღეს მესამე კლასამდი მაინც.

ასე ნელნელა იკვლევს-იკაფავს გზას ქართული ენა ჩვენს სკოლებში და შორს არ არის ის დრო, როცა სრულ მოქალაქობრივ უფლებას მოიპოვებს ის ჩვენს ცხოვრებაში. ხოლო ეს დრო დადგება მაშინ, როცა ჩვენი გლეხობა და მშრომელი ხალხი შეიგნებს სამშობლო ენის მნიშვნელობას

ამის ნიშნები უკვე სჩანს და ჩვენც სიამოვნებითა და სიხარულით ვეგებებით ამ მოვლენას.

დე—ზი.

ჭიათურის ვითარება.

(გაკვრით).

(იხ. „სამშ.“ № 51).

ვერ მოვახერხეთ ერთხელვე ჩვენი ქვისათვის შესაფერისი ფასი დაგვედვა. ამ მხრივ უფრო კარგ პირობებში იმყოფება ვაჭრების სხვა დარგის საქონელი: მეპურე დადებულ ფასზე ნაკლებ არაოდეს არ გაყიდის პურს, თუნდაც მყიდველი არსად ჩანდეს. აი, აქ მიუძღვის საბჭოს დანაშაული. იმას უნდა შეემუშავებია საამისო კანონი, მით უფრო, რომ ჩვენი შავიქვა, გარდა ადგილობრივი მომუშავე-მრეწველთა საკითხის გარდა, სახელმწიფოებრივ ინტერესსაც შეადგენს. ამიტომ შესაძლებელი იყო ამის სისრულეში მოყვანა. ზოგიერთის ფიქრით, შეიძლება ეს უხერხულიც იყო, მაგრამ მეორეს მხრით, როგორც მოგახსენეთ ამას თავის გასამართლებელი საბუთიცა აქვს. რაკი შავიქვა აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს, ნორმალური ფასის დადება სასურველ კალაპოტში ჩააყენებდა მყიდველის გამდიდრების სურვილით აშლილ მადას. ამას შეეჩვეოდა თვით მრეწველი, მყიდველს „სპეკულიაციის“ შიში არ წარმოუდგებოდა თვალწინ და მრეწველიც არ დაინახავდა მყიდველში მტაცებელს. ამიტომ არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა ქვის წარმოებაში მრავალ ჯერ და არც ის, რაც ხდება დღეს ჭიათურაში.

დღევანდელი სახე ჭიათურის წარმოებისა უნუგეშო და საზიანოა შემდეგისათვის: ნავთის არა ჩვეულებრივმა მოთხოვნილებამ და ფასების აწევამ, შავიქვისაგან გამდიდრების მსურველთაც აუშალა საღერღელი და არა ადგილობრივი მრეწველები, არამედ აგრეწოდებული „ექსპორტერები“ და სხვებიც შეუდგენ ბანკების, თუ თავისი ჯიბის საშუალებით ქვის დამზადებას იმ იმედით, რომ ომის გათავების შემდეგ ერთი სამათ გადაყიდიან და მოსალოდნელია ეს ასეც მოხდეს, მაგრამ ერთი ვკითხოთ ადგილობრივ მრეწველთ: რატომ დაკარგეს ისე გონიერება, რომ ვერა ხვდებიან, თუ დღევანდელი ასეთი „ექსპლოატაციის“ შემდეგ როგორ გაძღებიან იმათ ზურგზე ეს „ექსპლოატატორები“, როგორც დღევანდელი დამზადებული ქვით, ისე შემდეგ და ჩვენ, როგორც დღესა—ვართ ცარიელნი, ისე დავრჩებით შემდეგაც და ჩვენთან ერთად ის ქვის დამმუშავებელნიც, რომელთაც მწარე ხვედრით ერგოთ წილათ ადამიანური უფლებების მოპოება შრომის ფარგლებში.

დღევანდელი ქვის ფასებია 4 კაპ. და გარეცხილი 6—7 კაპიკი. წინანდელი ფასები კი იყო 7½ და 15 კაპიკი. დღეს მრეწველი ვერაფერს გებულობს და აწვდის საქონელს ასეთ მცირე ფასებში. მუშათა ძალაც დაქსაქსულია და ბრმა იარაღია ამ ხანათ. დღევანდელი წარმოებით, რადგანაც გაზიდვა არ არის უცხოეთში, გადამეტებული საქონელი დამზადდება ჭიათურაში, ხოლო რაც აქ არ დაეტევა, გადაიტანენ ფოთსა და ბათუმში და როცა ასეთი დიდი სათადარიგო საქონლით წელში გამაგრებულათ იგრძნობენ თავს, მრეწველებს მუდამ ასეთ მცირე ფასებს შეთავაზებენ, რადგანაც საფრთხე არსაიდან მოელით და ქვებზე მომატებული ფასები საკუთრათ დღევანდელი ექსპლოატატორების განკარგულებაში იქნება და სპეკულიანტების როლიც ხომ იმათ უნდა აასრულონ.

მრეწველთა საბჭოს აქაც მიუძღვის დანაშაული; საბჭომ კარგათ იცის, რომ ყველა მრეწველსა აქვს ბაქანი და საკუთარი მადანიც. აი ის „კრედიტი“, რომელსაც არა მრეწველთ აძლევს ბანკები, რომ წვრილი მრეწველებისაგან ქვა იყიდონ, სწორეთ ეს კრედიტი თვით ადგილობრივ მრეწველთათვის უნდა მოეგვარებია, რადგანაც ამ შემოსულ „მაკლერ-აფერისტს ექსპორტერებზე უფრო სანდონი არიან ეს უკანასკნელნი, თავიანთი მამულითა და ავლადიდებით, ხოლო უბედურება ისაა, რომ წინამძღოლობის „ინიციატივას“ არიან მოკლებულნი და ეს უნდა ეკისრა საბჭოს, რითაც თავის არსებობასაც დიდ ძალას და ავტორიტეტს შეძენდა.

და თუ ეს ასე არ მოხდა დღემდი, რამდენამდე აწიც შეიძლება ასეთი შეცდომების გამოსწორება.

საჭიროა, ჩვენი მრეწველები ჩაუკვირდენ ყველა ამას და ამის შემდეგ იქონიონ მეტი თავდაჭერილობა, რადგანაც მომავალი წინ გვიდევს და ისიც უფრო ბრწყინვალე, წარსულთან შედარებით, წარმოების დარგში.

ა. ხაბულიანი.

დაბა-სოფელი.

სოფ. ზანათი (სენაკის მაზრა). ამ სოფელში 350 კომლი ითვლება. შარშან 1914 წ. მოსავალი ძლიერ ნაკლები იყო: ვისაც 400—500 ფუთი სიმინდი მოსდიოდა, ახლა მოუვიდა მარტო 90—150 ფუთი. და ვისაც 200—250 ფუთი—60—80 ფუთი. ამისთანა მოსავალში, რასაკვირველია, ხალხს კარგი არ მოელოდა და წელს თითქმის მთელ ხალხს სარჩო არა აქვს: ვისაც ცოტა ფული აქვს, დახეტიალობს სოფლებში და ღვთის წყალობა იქნება, თუ 1-2 ფუთი იშოვა, ისიც 1 მ. 50 1 მ. 90 კაპეიკათ ვისაც ფული არ გააჩნია, ის მიდის სადღაც ქალაქებში, სამუშაოდ, ფულის საშოვნელად; სტოვებს ღვთის ანაბარა ცოლშვილს, რომელნიც დღითიდღე მოელიან სიკვდილს. იყო მაგალითი შიმშილით სიკვდილისა: ერთ დედაკაცს რამდენიმე დღეს არაფერი ეჭამა. საწყალს შიმშილისაგან გული წასვლოდა და მომკვდარიყო.

ხალხს მთავრობის იმედი აქვს, ეგები სესხის სახით დახმარება აღმოუჩინოსო, მაგრამ იმედი ჯერჯერობით მხოლოდ იმედათ რჩება და შველა კი არსაიდგან არის. საჭიროა დამხმარე კომიტეტმა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე და სოფელ ზანათის მცხოვრებლებს რაიმე დახმარება აღმოუჩინოს სესხის სახით. მდგომარეობა მეტად სერიოზულია და შიმშილის მსხვერპლი, დედაკაცის გარდა, სხვაც ბევრი იქნება, თუ დროით არ იქნა დახმარება.

გაზაფხულდა და ძარცვა-გლეჯამაც იმატა. ისედაც გადატაკებულ ხალხს რაღა გაძარცვა ეჭირვება! საჭიროა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მეტი სიფხიზლე გამოიჩინოს და ამ ვაჟბატონების თარეში დროით მოსპოს.

ბ. უჩანეიშვილი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით, პასუხი გავსცე „თანამედროვე აზრის“ უვიც რეცენზენტს „ტ—უ“-ს, იმ წერილის გამო, რომელიც დაისტამბა ჩემი სადამოს შესახებ ხსენებულ გაზეთის 29 ნუმერში.

ყველაზე უწინ უნდა ვსთქვა ის, რომ ჩემი რეცენზენტი, გულწრფელი არ არის; ის როგორც ემჩნევა, ჩემდამი სიძულვილითაა აღჭურვილი (ჩემი ძველი ხალათი თუ არ მოსწონს!) და გულითად ცდილობს, თუ რამეს ჩემს შესახებ ყური მოჰკრა, ცუდათ დამახასიათოს. მას გაზეთის ფურცლებზედაც ვერ დაუფარავს თავისი უმართებულო გულის წყრომა და მთელი ძალით ცდილობს, სრულიად უკადრისი ბრალი დამდოს: „აფიშაში აღნიშნული მონაწილეთაგან, **როგორც მოსალოდნელი იყო**, (ხაზი ჩემია. ნ. ჩ.) ბევრი გამოაკლდა, სხვათაშორის არ იყვნენ: ს. აბაშელი, მომღერალი ლორთქიფანიძე და დ. თომაშვილი“.

„როგორც მოსალოდნელი იყო“, ეს იმას ნიშნავს, რომ „ტ—უ“-ს წინდაწინ ცოდნია, რომ მე, საზოგადოებას ვატყუილებდი; ეს სასტიკი ბრალდებაა ჩემს წინააღმდეგ. მაგრამ თუ წინააღმდეგი დავუმტკიცე, ნებას ვიტოვებ ვუწოდო ამ ვაჟბატონს:—საძაგელი!

მე ხელთა მაქვს დ. თომაშვილის წერილი, რომელშიდაც მთხოვს პატივცემული მწერალი: „ბ-ნო ნოე, მე სხვადასხვა მიზეზებისა გამო, სადამოს ვერ ვესწრები, მაპატიეთ; თუ ჩემს ლექსს ვინმე წააკითხებთ, გიგზავნით“ და სხ... ეს წერილი მომივიდა სწორედ 31-ს სადამოს, რაც „ტ—უ“-მ კარგათ იცოდა, და ეს მაინც ბრალდებათ წამოიყენა; ბ-ნი ვარდენ ლორთქიფანიძე, ბესარიონ ვაშაკიძის თანდასწრებით დამპირდა, სადამოში მონაწილეობის მიღებას და უარი მაშინ გამომიცხადა, როცა აფიშები უკვე მზათ იყო გასაკრავათ.

„ტ—უ“-მ, ესეც იცოდა.

— ჩემი ბრალია მაინც?!.

ბ-ნ ს. აბაშელს, რადგან წერილები რაღაც ნაირად გზათ დაბანდდა და დეპეშა-კი გვიან მისვლოდა და თან, (ერთი ამხანაგის სიტყვით) მის მაგიერ რედაქციისადმი მოვალეობის აღმასრულებელი ვერ ეშოვა, ვერ მოვიდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც იქნებოდა, თორემ ბ-ი აბაშელი მე ამას არ მიზამდა, და თუ მაინც რამე დანაშაული მიმიძღვის, მხოლოდ აბაშელის შესახებ... „ტ—უ“-კი ბრძანებს: „როგორც მოსალოდნელი იყო“. მაშ საიდან შეხნხდა?.

— საძაგელი!

ნ. ჩხაკვაძე.

ვთხოვ ეს წერილი გადაბეჭდოს „აზრის“ რედაქციამ.

ნ. ჩ.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის
„ძმათა პასხალიდის“
აბრეშუმის თესლი
უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში
ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;
ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში და ახალსენაკში ილია იაკიმიდის მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.
თ. 69.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.
—— კატალოგები უფასოთ —— თ.

ძმ. ყორყოლაძის მაღაზიაში
ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი.
მიიღება ახალი
საპნის საკეთებელი სოდა ბორჯომის წყალი.
საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი აბრეშუმის თესლი.
ვენახის ასაკრავი რაფია „ვერმორელის“ ქარხნის სარწყავი მანქანები.
და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.
ფასები ზომიერია.

სპეციალური სახელოსნო
პარმენ ამაღლობელის
(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).
ფეხსაცმელები ევრ. და აზიური, როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.
ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.
1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 к.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Цѣлебные минеральные источники“—ფ. 10 კ.

აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.
1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . . 15 კ.
10) ა. ჰიჰინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

რუსული ღ ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან
სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. ი. ქორიძისა—ქუთაისში.
რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.